საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/46 „8“ ივნისი 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**ზოგიერთი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ $13^{1}$ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;

ბ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

გ) მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2021 წლის 9 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი